მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-4

დ. მესტია

29.04. 2022წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> ზ. ჩართოლანი, ი. რატიანი, ვ. ჭკადუა, რ. გვარმიანი, შ. ცინდელიანი, მ. ხორგუანი, ზ. ფალიანი, ბ. ნაკანი, შ. გულედანი, ი. გირგვლიანი, ლ. პირველი, ბ. კვიციანი, მ. პაკელიანი, ლ. პაკელიანი, გ. გიგლემიანი, ა. რატიანი, ლ. ქალდანი, დ. გვიჩიანი, მ. გელოვანი, მ.რატიანი, გ. ხვისტანი, დ. ჯაფარიძე, მ. ხერგიანი, მ. კვანჭიანი,
<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ხარძიანი, კ. გუჯეჯიანი, ლ. ჩარკვიანი, თ. დადეშქელიანი, ზ. ჯაფარიძე, გ. დადვანი, ზ. დევდარიანი, გ. გელოვანი,
<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მთ. სპეციალისტი ვ. გულედანი.
<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ჩართოლანი.
<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.
სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 24 დეპუტატი.
თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

/მომხსენებელი: ლ. მჭედლიანი, თანამომხსენებელი ზ. ფალიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შსახებ“.

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების** შესახებ“. წარმოდგენილი რედაქციით.
მომხრე----------24
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № გ-135.135221192თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. მჭედლიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 1.542.0 ლარი, დამსწრე საზოგადოებას პოვერ პოინტის ფორმით წარუდგინა 156 სოფლის პროექტების ნუსხა. თექვსმეტივე მუნიციპალიტეტში ჩატარდა სოფლის კრებები, შეიქმნა კრების ოქმები, მოსახლეობის მიერ წამოყენებული იქნა საპროექტო წინადადებები, მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსება მოხდება იმ შემთხვევაში თუ პროექტის ღირებულება გადასცდება 10.0ათას ლარს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ფალიანმა- კომისიის მიერ განხილულ იქნა საკითხი, არის მცირე ხარვეზები, კომისიამ მიიჩნია რომ საკითხი მზადაა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

შ. ცინდელიანი- გასული წლის ზოგი პროექტები არ არის დასრულებული ან უხარისხოდაა შესრულებული, მეტი აქტიურობაა საჭირო დეპუტატების მხრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ---- 4

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, „მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-გ-135.135221193 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შსახებ“.

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების მიერ წარმოდგენილი მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა,

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------24

წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შსახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-გ-135.135221191 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზაურ ჩართოლანი
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე
მ/შ